ხელშეკრულება №12
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

31 დეკემბერი 2015 წელი

ქ. ქობულეთი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ ქობულეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ეგგენიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ შპს „აჭარპრესა", წარმოდგენილი მისი დირექტორის ავთანდილ ჩირგაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – ხელშეკრულება) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. ხელშეკრულების ღირებულება – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. შემსყიდველი – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4. მიმწოდებელი – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდებას 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (22200000 - გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები).
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის აღწერა და მოწოდების პირობები მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 672.1 (ექვსასსამოცდათორმეტი ლარი და ათი თეთრი) ლარს (ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ოფისის მუხლი).
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მიღება–ჩაბარების აქტის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.
5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სრულფასოვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეული ქმედებით (მოქმედებითა და უმოქმედობით) მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანს.

9.2 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.3 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

13.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
13.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE56LBO120113125552000**, საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;
13.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

14. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ. ბათუმი, ბარათაშვილის ქუჩა №29;
14.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია", ბანკის კოდი **UGEBGE22**, ა/ა **GE98VT5500000001553402**; საიდენტიფიკაციო კოდი **245 524 561**;
14.3 „მიმწოდებელი"– შპს „აჭარპრესა"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ხელოხან ევგენიძე

გამგებელი

„მიმწოდებელი" - შპს „აჭარპრესა"

ავთანდილ ჩირგაძე

დირექტორი

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება		რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	მუნიციპალიტეტის გამგეობა	ჩემი ქობულეთი	5	10,4	52	ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141	6 თვე
2		აჭარა PS	2	13	26		6 თვე
3		აჭარა	5	39	195		6 თვე
4		კვირის პალიტრა	2	39	78		6 თვე
5		ბათუმელები	10	26	260		6 თვე
6		მომსახურება			61,1		6 თვე
7	სულ ჯამი				672.1		

შპს „აჭარპრესა"

დირექტორი

ავთანდილ ჩირგაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ქობულეთი

31 დეკემბერი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ჟურნალ-გაზეთების მიწოდების (CPV 22200000 -გაზეთები, სამეცნიერო ჟურნალები, პერიოდიკა და ჟურნალები) შესყიდვის განხორციელებაში, შპს „აჭარპრესა"-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გამგებელი: ხულხან ევგენიძე